

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი #8

ქ. თბილისი

2026 წელი, 30 იანვარი, 13:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნიკოლოზ კახეთელიძე, ზურაბ აბაშიძე, ბექა დავითუალიანი, ზურაბ ჩიკვილაძე, ნინო ვარდოსანიძე, კონსტანტინე ზარნაძე, გივი ჩხარტიშვილი, ზაქარია წიკლაური, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: ალექსანდრე ასათიანი

სხდომას თავმჯდომარეობდა: ნიკოლოზ კახეთელიძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

გაიოზ თალავაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

ნინო ზაგაშვილი - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი

№	საკითხის დასახელება
1	"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის №5-8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (საკრებულოს №12-03260288-03 28.01.2026)
2	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სანდრო ეულის ქუჩა №3-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.14.05.007.719, ფართობი - 9 354 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032601659-03 16.01.2026)
3	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №234ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.72.14.202.011, ფართობი - 6988 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032602074-03 20.01.2026)

4	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დილომი, ხატაეთის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.72.14.036.812; ფართობი - 659 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032602077-03 20.01.2026)
5	„კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ბოჭორმის ქუჩა №25-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.17.13.045.217, ფართობი - 6 043 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 აგვისტოს №373 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ბოჭორმის ქუჩა №25-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.17.13.045.217, ფართობი - 6 043 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032602347-03 23.01.2026)
6	„კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, პატარძულის ქუჩის მიმდებარედ/ვაზისუბნის დასახლება, პატარიძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.17.10.001.098; ფართობი - 2146 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 21 ნოემბრის №68 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032602348-03 23.01.2026)
7	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ონიანის ქუჩა, №4-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.17.13.047.017, ფართობი: 1242 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032602349-03 23.01.2026)
8	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N113-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.09.009.026, ფართობი: 14 123 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0326029166-03- 29.01.2026)
9	„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032602071-03 20.01.2026; №12-032601650-03 16.01.2026; №12-032602350-03 23.01.2026; 12-0326029153-03- 29.01.2026; 12-0326029164-03-29.01.2026)

10	ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში; ქალაქი თბილისი, ნიკო კეცხოველის №58-ში არსებული, კოოპერატიული ზინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.005.560) განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლო განვითარების დასაშვებობის საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032601651-03 16.01.2026)
11	ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.10.18.006.151; №01.10.18.006.330-ის ნაწილი) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0326020100-03 20.01.2026)
12	ქალაქ თბილისში, სოფელ წაგვისში, ნიკოლოზ მათიკაშვილის ქუჩა №7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.81.02.226.040) და მიმდებარე დაურეგისტრირებულ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032602660-03 26.01.2026)
13	ქალაქ თბილისში, აბუსერიძე-ტბელის ქუჩა №15-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.12.019.001) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032602687-03 26.01.2026)
14	ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.81.08.406.013) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0326029163-03 -29.01.2026)
15	ქალაქ თბილისში, აკაკი წერეთლის N118; N118ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.13.05.002.133; N01.13.05.002.071) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0326029162-03 - 29.01.2026)
16	ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში; ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, წყაროს თავთან არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.27.152; N72.16.27.041; N72.16.27.035; N72.16.09.177; N72.16.09.176) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0326029160-03- 29.01.2026)
17	ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წაგვისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.96.607; N81.02.95.411; N81.02.02.305; N81.02.02.570; N81.02.02.318) და მიმდებარე დაურეგისტრირებულ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0326029165-03- 29.01.2026)

18	ქალაქ თბილისში, კალოუზნის ქუჩა N40 (ნაკვ. 21/023; ნაკვ. 21/024); ქალაქი თბილისი, კალოუზნის ქუჩა N31დ; ქალაქი თბილისი, III მასივი, X კვარტ. სამხედრო დას. კორპ. N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: NN01.19.20.021.067; 01.19.20.021.068; 01.19.20.021.044; 01.19.20.021.035; 01.19.20.021.029; 01.19.20.021.039; 01.19.20.021.040; 01.19.20.021.041; 01.19.20.021.042; 01.19.20.021.043; 01.19.20.021.072; 01.19.20.021.070; 01.19.20.021.092; 01.19.20.021.084; 01.19.20.021.122; 01.19.20.021.085; 01.19.20.021.062; 01.19.20.021.027; 01.19.20.021.034; 01.19.20.021.020; 01.19.20.021.124) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0326029161-03- 29.01.2026)
19	ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 3 სექტემბრის №318960 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03260205-03 20.01.2026)
20	„ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის შესახვევის N17-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 მარტის N56 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032602773-03 27.01.2026)
21	„ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.13.001.117) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 ივნისის N188 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-0326029159-03- 29.01.2026)
22	მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. №37 (ს/კ. №01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ №4 (ს/კ. №01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. №55 (ს/კ. №01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-03260299-03 29.01.2026)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი ნიკოლოზ კახეთელიძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა დღის წესრიგი.

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის №5-8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (საკრებულოს №12-03260288-03 28.01.2026)

კომისიის სხდომაზე პროექტი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2026 წლის 1 იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების ნაწილის 273 860,1 ათასი ლარის (მათ შორის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში 2025 წელს ბიუჯეტის ანგარიშზე ჩარიცხული ნაშთი - 2 095,6 ათასი ლარი) გამოყენების და მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, კერძოდ: იზრდება გრანტების ნაწილში სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 22 560,0 ათასი ლარით (მათ შორის თბილისის ავტობუსების პროექტის (ფაზა II) (EBRD) ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელოად - 5 000,0 ათასი ლარი (საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი), ხოლო თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით, დელეგირებული უფლებამოსილების განსაზოორციელებლად - 17 560,0 ათასი ლარი (საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს 2026 წლის 8 იანვრის MRD N01/18 წერილი). შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება ჯამში 296 420,1 ათასი ლარით და შეადგენს 2 506 978,3 ათას ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ ქვეპროგრამებზე, მათ შორის: იზრდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 13 490,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) - 572,8 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში (კოდი 01 01 12) - 800,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) - 1 000,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში (კოდი 01 01 14) - 1 200,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში (კოდი 01 01 15) - 1 000,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 01 01 16) - 1 130,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) - 6 000,0 ათასი ლარი, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) - 23 800,0 ათასი ლარი, საქალაქო სამგზავეო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) - 18 000,0 ათასი ლარი, მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა (კოდი 01 02 03) - 1 300,0 ათასი ლარი, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენარეკონსტრუქცია (კოდი 02 01 01) - 15 847,0 ათასი ლარი, სადგურის 2 მოედნისა და დადიანის ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის პროექტირება და მშენებლობა (კოდი 02 01 02) - 1 491,0 ათასი ლარი, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) პროგრამის ასიგნებები - 8 937,0 ათასი ლარი, საპროექტო- საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 1 350,0 ათასი ლარი, სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 02) - 2 000,0 ათასი ლარი, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) პროგრამის ასიგნებები - 5 752,0 ათასი ლარი, სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა (კოდი 02 06) - 610,0 ათასი ლარი,

კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 6 387,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) - 1 539,8 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) - 1 000,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) - 1 000,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) - 1 240,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 02 09 14) - 3 069,1 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) - 2 000,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) - 3 200,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) - 1 500,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) - 2 045,7 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) - 1 200,0 ათასი ლარი, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნებები - 35 597,4 ათასი ლარი, ავარიული სახლების ჩანაცვლება (კოდი 02 12) - 17 953,2 ათასი ლარი, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) - 1 536,7 ათასი ლარი, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) - 4 330,0 ათასი ლარი, თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 235,2 ათასი ლარი, ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) - 2 234,1 ათასი ლარი, სამხედრო ქალაქის პარკის მოწყობა (კოდი 03 04 01) - 800,0 ათასი ლარი, ვაკის პარკის შადრევნების და კასკადის რეაბილიტაცია (კოდი 03 04 03) - 6 606,5 ათასი ლარი, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) პროგრამის ასიგნებები - 349,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) ქვეპროგრამის ასიგნებები - 500,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) - 411,3 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი 05 01 10) - 300,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) - 500,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) - 1 800,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში (კოდი 05 01 13) - 1 700,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15) - 500,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების 3 განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) - 700,0 ათასი ლარი, დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02) - 3 000,0 ათასი ლარი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება (კოდი 06 02 04) - 385,0 ათასი ლარი, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში (კოდი 06 02 06 01) - 190,5 ათასი ლარი, უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში (კოდი 06 02 06 02) - 294,0 ათასი ლარი, უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში (კოდი 06 02 06 03) - 241,7 ათასი ლარი, სოციალური მხრუნველობის სააგენტოს ხელშეწყობა (კოდი 06 02 07) - 821,1 ათასი ლარი, სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (კოდი 06 02 09) - 2 000,0 ათასი ლარი, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი 06 02 21) - 915,4 ათასი ლარი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) - 27 854,2 ათასი ლარი, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) - 3 400,0 ათასი ლარი, თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა (კოდი 07 02 05) - 17 560,0 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები გლდანის რაიონში (კოდი 07 02 06 01) - 284,1 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ნაძალადევის რაიონში

(კოდი 07 02 06 02) - 261,4 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დიდუბის რაიონში (კოდი 07 02 06 03) - 200,8 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 07 02 06 04) - 159,1 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ვაკის რაიონში (კოდი 07 02 06 05) - 147,7 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები საბურთალოს რაიონში (კოდი 07 02 06 06) - 221,1 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ისნის რაიონში (კოდი 07 02 06 07) - 238,6 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები სამგორის რაიონში (კოდი 07 02 06 08) - 275,9 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები კრწანისის რაიონში (კოდი 07 02 06 09) - 113,6 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები მთაწმინდის რაიონში (კოდი 07 02 06 10) - 193,2 ათასი ლარი, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) - 300,0 ათასი ლარი, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) - 778,4 ათასი ლარი, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) - 1 500,0 ათასი ლარი, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 05) პროგრამის ასიგნებები - 2 170,0 ათასი ლარი, სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 4 000,0 ათასი ლარი, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი 08 06 03) - 2 200,5 ათასი ლარი, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) - 5 300,8 ათასი ლარი, დიდუბის მასივში, მე-3 კვარტალში მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის მშენებლობა (კოდი 08 06 09) - 1 800,0 ათასი ლარი, თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრების ხელშეწყობა (კოდი 08 08 02) - 4 432,7 ათასი ლარი, ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 02) პროგრამის ასიგნებები - 3 361,5 ათასი ლარი, გლდანის რაიონის გამგეობა (კოდი 10 27) - 30,0 ათასი ლარით, ნაძალადევის რაიონის გამგეობა (კოდი 10 28) - 181,8 ათასი ლარით, დიდუბის რაიონის გამგეობა (კოდი 10 29) - 300,0 ათასი ლარით, ჩუღურეთის რაიონის გამგეობა (კოდი 10 30) - 143,2 ათასი ლარით, საბურთალოს რაიონის გამგეობა (კოდი 10 32) - 36,8 ათასი ლარით, ისნის რაიონის გამგეობა (კოდი 10 33) - 254,6 ათასი ლარით, სამგორის რაიონის გამგეობა (კოდი 10 34) - 209,0 ათასი ლარით, კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი 10 35) - 90,0 ათასი ლარით, ნაძალადევის რაიონის გამგეობა (კოდი 10 36) - 58,6 ათასი ლარით. ამასთან, ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამების ჩამონათვალს ემატება ახალი პროგრამა - კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მდებარე ავარიული სახლების გამოსყიდვა - 10 000,0 ათასი ლარის ოდენობით. გარდა ამისა, ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 01) პროგრამის ფარგლებში, ოზრდება სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა 28 ერთეულით, ხოლო მცირდება სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი 10 18) მომუშავეთა რიცხოვნობა - 5 ერთეულით, ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრის (კოდი 08 01 01) - მომუშავეთა რიცხოვნობა - 1 ერთეულით, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების მომუშავეთა რიცხოვნობა - 10 ერთეულით, შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში გაიზარდა 12 ერთეულით და განისაზღვრა 4963 ერთეულით, პროექტის მიღებასთან დაკავშირებული საფინანსო - ეკონომიკური გაანგარიშება: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 215 948,7 ათასი ლარის ოდენობით

და ნაშთის ცვლილება 291 029,6 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 145 948,7 ათასი ლარის ოდენობით, აქედან: მ გადასახადები 1 022 413,6 ათასი ლარი, მათ შორის: - საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 282 000,0 ათასი ლარი; ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 48 000,0 ათასი ლარი; მიწაზე ქონების გადასახადი – 20 000,0 ათასი ლარი; დამატებული ღირებულების გადასახადი – 672 413,6 ათასი ლარი. გრანტები 683 040,7 ათასი ლარი, მათ შორის: - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 405,0 ათასი ლარი; მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 4 595,7 ათასი ლარი; კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 630 000,0 ათასი ლარი; სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 48 040,0 ათასი ლარი. სხვა შემოსავლები 440 494,4 ათასი ლარი, მათ შორის: - შემოსავალი საკუთრებიდან – 31 000,0 ათასი ლარი; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 50 000,0 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 112 000,0 ათასი ლარი; სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 132 000,0 ათასი ლარი; სანებართვო მოსაკრებელი - 28 026,8 ათასი ლარი; - სხვადასხვა შემოსავლები – 87 467,6 ათასი ლარი. წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 2 506 978,3 ათასი ლარით, მათ შორის: ხარჯები განსაზღვრულია - 1 949 189,3 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა – 518 118,2 ათასი ლარი; ვალდებულებების კლება – 39 670,9 ათასი ლარი. ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 196 759,4 ათასი ლარით. არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 448 118,2 ათას ლარს, მათ შორის: არაფინანსური აქტივების ზრდა – 518 118,2 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლება – 70 000,0 ათასი ლარი. ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს ( 291 029,6 ) ათას ლარს, მათ შორის: - ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის ცვლილება) – 291 029,6 ათასი ლარი. ვალდებულებების ცვლილება შეადგენს (39 670,9) ათას ლარს, მათ შორის: - ვალდებულებების კლება 39 670,9 ათასი ლარი. ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 251 358,7 ათასი ლარით. ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა): დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა.

*ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

2. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სანდრო ეულის ქუჩა №3-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.14.05.007.719, ფართობი - 9 354 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032601659-03 16.01.2026)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2025 წლის 4 ნოემბრის N01253082465-67 (N01253153934-67; N01253283743-67; N01253494256- 67) განცხადებით ქალაქ

თბილისში, სანდრო ეულის ქუჩა N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.05.007.719) მესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.14.05.007.719 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=4.4), გამოხატა შზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობანაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. N01.14.05.007.719 საკადასტრო ერთეულზე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) არის საშუალო ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (მათ შორის გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის თანახმად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1)-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; დასაშვებია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველყოფი საცხოვრებელი შენობების/სამსოფლების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 25%- ისა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე კი არაუმეტეს - 95%-ისა, დადგენილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1= 0.5 \* / 0.7 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2 = 3.5 მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3 = 0.2 / 0.3\* მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - 600/700\* კვ.მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - 15/20\* მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - 25/30\* მ \* მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 17 ნოემბრის N21.1563.1756 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 ნოემბრის N556 განკარგულებით, N01.14.05.007.719 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე დამტკიცებულია მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი (კ-2=4.2). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის პირველი მაისის N6439898 ბრძანებით შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი (კ-2=4.2). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 16 აგვისტოს N7184299 ბრძანებით გაცემულია ახალი მშენებლობის ნებართვა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 ნოემბრის N588 განკარგულებით გაცემულია თანხმობა მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) 4.2-დან 4.4- მდე გადამეტების თაობაზე, თუმცა დადგენილ ვადაში არ

განხორციელებულა შესაბამისი ფასის გადახდა, რამაც გამოიწვია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 ნოემბრის N588 განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმება. დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.2-დან კ-2=4.4-მდე, რაც გულისხმობს 27 (ოცდაშვიდი) და 15 (თხუთმეტი) სართულიანი შენობების განთავსებას (შეთანხმებულ მოცულობაზე საცხოვრებელ ბლოკზე 1 (ერთი) მიწისზედა სართულის დამატება და საოფისე ბლოკზე 2 (ორი) მიწისზედა სართულის დამატება), ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. N01253082465-67 (N01253153934-67; N01253283743-67; N01253494256-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, ასევე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N007954925, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 28 698 072 ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას. პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 1,366,574.86 (ერთი მილიონ სამას სამოცდაექვსი ათას ხუთას სამოცდაათობმეტი და ოთხმოცდაექვსი მეასედი) ლარით.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა.

*ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მკურნელობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

3. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №234ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.202.011, ფართობი - 6988 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032602074-03 20.01.2026)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2025 წლის 9 დეკემბრის N01253434573-67 (N01253532977-67) განცხადებით ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N234ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.202.011) მესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.72.14.202.011 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ

მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=3.5), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობანაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, N01.72.14.202.011 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის ერთგვაროვან საცხოვრებელ ქვეზონას, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/ დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დაშლარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) -ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ამ წესების დანართ 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები. დადგენილია განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1= 0,5 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2= 2,5 მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3 = 0,3 მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - 600 / 700\* კვ.მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - 15 / 20\* მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - 25 / 30\* მ \* მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებელი ფუნქცია აღემატება 25 %-ს N01.72.14.202.011 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 2 ოქტომბრის N24.1664.1862 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 ოქტომბრის N534 განკარგულებით დამტკიცებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი (კ-2=2.5). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 7 მაისის N25.744.826 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 მაისის N191 განკარგულებით თანხმობა მიეცა მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებას კ-2=2.5-დან კ-2=3.5-მდე, თუმცა ამავე განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში დაინტერესებული პირის მიერ ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასი არ გადახდილა, რამაც გამოიწვია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 მაისის N191 განკარგულებით გათვალისწინებული ხელშეწყობი ღონისძიებების გაუქმება. მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დაინტერესებული პირის მიერ, ხელშეწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.5-მდე, რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე „ა“ ბლოკზე - 6 (ექვსი) და „ბ“ ბლოკზე - 4 (ოთხი) მიწისზედა სართულების დამატებასა და 18 (თვრამეტ) სართულიანი („ა“ ბლოკი) და 16 (თექვსმეტ) სართულიანი („ბ“ ბლოკი) შენობების განთავსებას.

ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები, N01253434573-67 (N01253532977-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N008203225, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 8 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 6 226 308 ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრა. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 2,490,523.20 (ორი მილიონ ოთხას ოთხმოცდაათი ათას ხუთას ოცდასამი და ოცი მესხედი) ლარით.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა.

*ხმათ უმრავლესობით, ურბანული დაგეგმვების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

4. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დილომი, ხატაეთის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.036.812; ფართობი - 659 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს N12-032602077-03 20.01.2026)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში 2025 წლის 30 ოქტომბერს წარდგენილი N01253031805-67 განცხადებით ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, ხატაეთის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.036.812) შესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.72.14.036.812 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=2.1), გამოხატა შზაობა მაკომპენსირებული ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, N01.72.14.036.812 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 26 სექტემბრის N7642427 ბრძანებით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისთვის დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)-ის პარამეტრებით ( $\kappa-2=1.5$ ). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) არის დაბალი ინტენსივობის შერეული საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს შერეული ტიპის საცხოვრებელი სახლები. დასაშვებია ამ წესების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები და დადგენილია განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი  $\kappa-1= 0,5$  მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი  $\kappa-2 = 1,5$  მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი  $\kappa-3 = 0,3$  მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი -  $300 / 400 *$  მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე -  $9 / 12 *$  მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე  $20 / 25 *$  მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე -  $15 **/17 *** *$  მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის და სასტუმროსთვის \*\* კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, გრუნტთან შეხების ყველაზე დაბალი წერტილიდან, არაუმეტეს 5 სართულისა \*\*\* გარდა კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონისა, გრუნტთან შეხების ყველაზე დაბალი წერტილიდან, არაუმეტეს 5 სართულისა. დაინტერესებული პირის მიერ, ხელშეწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ( $\kappa-2$ ) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება  $\kappa-2=1.5$ -დან  $\kappa-2=2.1$ -მდე, რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე 1 (ერთი) მიწისზედა სართულის დამატებასა და 6 (ექვსი) სართულიანი შენობის განთავსებას. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული სიმაღლესა და სართულიანობასთან დაკავშირებული რეგულაციები. N01253031805-67 განცხადებაზე წარმოდგენილია, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N006735525, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 13 ოქტომბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 530 742 ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრა. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა 212,296.80 (ორას თორმეტი ათას ორას ოთხმოცდათექვსმეტი და ოთხმოცი მესაუდი) ლარით.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა.

*ბმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

5. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ბოჭორმის ქუჩა №25-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.17.13.045.217, ფართობი - 6 043 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 აგვისტოს №373 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ბოჭორმის ქუჩა №25-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.17.13.045.217, ფართობი - 6 043 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032602347-03 23.01.2026)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2025 წლის 29 დეკემბრის N01253633460-67 (N0125365674-67) განცხადებით ქალაქ თბილისში, ბოჭორმის ქუჩა N25-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.13.045.217) მესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.17.13.045.217 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადაშეტების სანაცვლოდ (კ-2=5.1), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ვრცელყოფილი ნაწილის - რუკის მიხედვით, N01.17.13.045.217 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), საპროექტო მიწის ნაკვეთზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 27 ივლისის N801.012120818 ბრძანებით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ - ერთი შემადგენელი ნაწილის არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 75%-ის განთავსების მიზნით, გაცემულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 29 დეკემბრის N6270801 ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (კ-2=4.6). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 25 თებერვლის N7391985 ბრძანებით შეთანხმებულია მრავალფუნქციური შენობის (II და III ბლოკი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 28 ოქტომბრის N7682117 ბრძანებით შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის

კორექტირებული არქიტექტურული პროექტი (I ბლოკი) და გაცემულია მშენებლობის ნებართვა (კ-2-4.6, მათ შორის, პირველი ბლოკი: კ-2-2.0; მეორე და მესამე ბლოკი: კ-2-2.6). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) არის მაღალი ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (როგორც წესი გზზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დაშლამდე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის მიხედვით, საზოგადოებრივ - საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 25%-ისა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე კი არაუმეტეს – 95%-ისა და დადგენილია განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1=0,5 \* / 0,7 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2=4.6 მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3=0.2 / 0.3\* მინიმალური ფართობი 700 კვ.მ მინიმალური სიგანე 20 მეტრი მინიმალური სიღრმე 30 მეტრი შენიშვნა \* მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებელი ფუნქცია აღემატება 25 %- ს, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშეწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.6-დან კ-2=5.1-მდე, რაც გულისხმობს I ბლოკზე 4 (ოთხი) მიწისზედა სართულის დამატებას, ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. N01253633460-67 (N0125365674-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N004744125, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 23 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 18 558 053 ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრა. მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით გათვალისწინებული გადასახდელი ფასის ოდენობა განისაზღვრება შემდეგი პრინციპით და საანგარიშო ფორმულით:  $X = L * S * (K21 - K2) / K2$  სადაც: ა) X არის ბიუჯეტში გადასახდელი ფასის ოდენობა; ბ) L არის 182 მიწის ნაკვეთის საბაზრო ფასი; გ) S არის სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართობი, დ) K2 არის მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი; ე) K21 არის მიწის ნაკვეთისათვის მოთხოვნილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად

გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი წესით. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ბოქორძის ქუჩა N25-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.13.045.217, ფართობი - 6 043 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 15 აგვისტოს N25.1387.1565 განკარგულების საფუძველზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ბოქორძის ქუჩა N25-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.13.045.217, ფართობი - 6 043 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 აგვისტოს N373 განკარგულებით თანხმობა მიეცა ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხს. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ბოქორძის ქუჩა N25-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.13.045.217, ფართობი - 6 043 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 15 აგვისტოს N25.1387.1565 განკარგულების თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის კ-2=4.6-დან კ-2=5.1-მდე გადამეტება გულისხმობდა I ბლოკზე 3 (სამი) მიწისზედა სართულის დამატებას, ხოლო II და III ბლოკებზე I (ერთი) მიწისზედა სართულის დამატებას. 2025 წლის 29 დეკემბრის N01253633460-67 (N0125365674-67) განცხადებით, დაინტერესებულმა პირმა მოითხოვა ქალაქ თბილისში, ბოქორძის ქუჩა N25-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.13.045.217, ფართობი - 6 043 კვ.მ) მიმართებით, ხელშეწყობი ღონისძიების სახით გამოყენებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტებით (კ-2=5.1) განპირობებული მოცულობის (სართულიანობის) ცელილება და კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელ ღონისძიებად განსაზღვრული შესაბამისი ფასის გადახდის ვადის განსაზღვრა, წინამდებარე განკარგულებით დამტკიცებული ხელშეწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან. აღნიშნული მოთხოვნის გათვალისწინებით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ბოქორძის ქუჩა N25-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.13.045.217, ფართობი - 6 043 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 15 აგვისტოს N25.1387.1565 განკარგულება უნდა გამოცხადდეს ძალადაკარგულად. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 2,017,179.68 (ორი მილიონ ჩვიდმეტი ათას ას სამოცდაცხრამეტი და სამოცდარვა შეასედი) ლარით.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა.

ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

6. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, პატარძელის ქუჩის მიმდებარედ/ვაზისუბნის დასახლება, პატარიძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.10.001.098; ფართობი - 2146 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 21 ნოემბრის №68 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032602348-03 23.01.2026)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2025 წლის 23 დეკემბრის N01253571503-67 განცხადებით დაინტერესებულმა პირმა მოითხოვა კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, პატარძელის ქუჩის მიმდებარედ/ვაზისუბნის დასახლება, პატარიძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.10.001.098; ფართობი - 2146 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 28 ოქტომბრის N25.1824.2044 განკარგულებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის გადამეტებული კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის ცვლილება კ-2=3.2-დან კ-2=3.0-მდე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2025 წლის პირველ აგვისტოს წარდგენილი N01252133767-67 (N0125230379-67; N01252734413-67) განცხადებით, ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, პატარძელის ქუჩის მიმდებარედ/ვაზისუბნის დასახლება, პატარიძის ქუჩის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.10.001.098; ფართობი - 2146 კვ.მ) შესაკუთრებ N01.17.10.001.098 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე

მოითხოვა მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების საწინააღმდეგო (კ-2=3.2) გამოხატა მზაობა მაკომპენსირებული ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობანაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, პატარძელის ქუჩის მიმდებარედ/ვაზისუბნის დასახლება, პატარიძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.10.001.098; ფართობი - 2146 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 28 ოქტომბრის N25.1824.2044 განკარგულების საფუძველზე, „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, პატარძელის ქუჩის მიმდებარედ/ვაზისუბნის დასახლება, პატარიძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.10.001.098; ფართობი - 2146 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 21 ნოემბრის N68 განკარგულებით თანხმობა მიეცა ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხს. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, პატარძელის ქუჩის მიმდებარედ/ვაზისუბნის დასახლება, პატარიძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.10.001.098; ფართობი - 2146 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 28 ოქტომბრის N25.1824.2044 განკარგულების თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის კ-2=2.4-დან კ-2=3.2-მდე გადამეტება გულისხმობდა არსებულ მოცულობაზე 3 (სამი) მიწისზედა სართულის დამატებასა და 11 (თერთმეტ) სართულიანი შენობის განთავსებას. 2025 წლის 23 დეკემბრის N01253571503-67 განცხადებით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, პატარძელის ქუჩის მიმდებარედ/ვაზისუბნის დასახლება, პატარიძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.10.001.098; ფართობი - 2146 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 28 ოქტომბრის N25.1824.2044 განკარგულებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის გადამეტებული კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის ცვლილება კ-2=3.2-დან კ-2=3.0-მდე, რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე 2 (ორი) სართულის დამატებასა და 10 (ათი) მიწისზედა სართულიანი შენობის განთავსებას. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ, 2025 წლის 23 დეკემბრის N01253571503-67 განცხადებით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების მიზნებისთვის, გამოითხოვა ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 21 ნოემბრის N68 განკარგულების მეორე პუნქტით გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვასთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის 2025 წლის 26 დეკემბრის N11-

01253603884 წერილის თანახმად, ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების განმსაზღვრელ 300773297 (შემოსავლები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობისთვის) სახაზინო კოდზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 21 ნოემბრის N68 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 28 ოქტომბრის N25.1824.2044 განკარგულებებით განსაზღვრული 699,988.00 (ექვსას ოთხმოცდაცხრამეტი ათას ცხრას ოთხმოცდარვა) ლარის ჩარიცხვა არ ფიქსირდება. N01253571503-67 განცხადებით წარდგენილი მოთხოვნის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 28 ოქტომბრის N25.1824.2044 განკარგულებაში უნდა შევიდეს ცვლილება.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა.

*ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმვების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანა იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

7. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ონიანის ქუჩა, №4-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.17.13.047.017, ფართობი: 1242 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032602349-03 23.01.2026)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ზაგაშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2025 წლის 12 დეკემბრის N01253463509-67 (N01253511672-67; N01260142079-67) განცხადებით მისამართზე - ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ონიანის ქუჩა, N4-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.13.047.017) მესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.17.13.047.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადაშეტების სანაცვლოდ (კ-2=5.0), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, N01.17.13.047.017 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) არის საშუალო ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (მათ შორის გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე

განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის თანახმად, საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1 (სსზ-1)-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით: დასაშვებია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 25%- ისა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე კი - არაუმეტეს 95%-ისა და დადგენილია განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი  $k-1 = 0,5 * / 0,7$  მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი  $k-2 = 3,5$  მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი  $k-3 = 0,2 / 0,3$  მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი -  $600 / 700 * კვ.მ$  მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე -  $15 / 20 * მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - 25/30 * მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 9 იანვრის N801.01240094 ბრძანებით (ცვლილება განხორციელდა N801.01252095 (28.07.2025) ბრძანებით) N01.17.13.047.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე გაცემულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (80%-ის განთავსების მიზნით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 6 მარტის N6920319 ბრძანებით (ცვლილება შევიდა N7639608 და N7697989 ბრძანებებით) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები ( $k-2=3,5$ ). დაინტერესებული პირის მიერ, ხელშეწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ( $k-2$ ) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება  $k-2=3,5$ -დან  $k-2=5,0$ -მდე, რაც გულისხმობს 3 (სამი) მიწისზედა სართულის დამატებასა და 12 (თორმეტი) სართულიანი შენობის განთავსებას. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. N01253463509-67 (N01253511672-67; N01260142079-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N005629925, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 2 837 970 ლარს, იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრა.$

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა.

*ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

8. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N113-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.09.009.026, ფართობი: 14 123 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0326029166-03- 29.01.2026)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ზაგაშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში 2025 წლის 14 სექტემბრის წარდგენილი N012525727-67 (N01253212998-67; N01253551-67; N01260162788-67; 01260221875-67) განცხადებით ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N113-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.09.009.026) შესაკუთრებ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.18.09.009.026 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=3.8), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, N01.18.09.009.026 საკადასტრო ერთეულზე (წინა საკადასტრო კოდები: N01.18.09.009.005; N01.18.09.009.006) ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) და სატყეო ზონა, ხოლო გამწვანებული ტერიტორიების რუკით, საპროექტო მიწის ნაკვეთის ნაწილზე ვრცელდება ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება და სატყეო ზონა. საპროექტო ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 9 ივლისის №24.1180.1346 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის N346 განკარგულებით დამტკიცებულია მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 16 იანვრის N7774803 ბრძანებით შეთანხმებულია მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი (კ-2=3.1) და გაცემულია მშენებლობის ნებართვა. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) არის მაღალი ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (როგორც წესი გეგმით) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის მიხედვით, საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 2-ში (სსზ-2) განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის

25%-ისა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე კი არაუმეტეს – 95%-ისა და დადგენილია განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი  $k-1=0,5$  \* / 0,7 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი  $k-2=4,6$  მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი  $k-3=0,2$  / 0,3\* მინიმალური ფართობი 700 კვ.მ მინიმალური სიგანე 20 მეტრი მინიმალური სიღრმე 30 მეტრი შენიშვნა \* მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებელი ფუნქცია აღემატება 25 %- ს. დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=3.1-დან კ-2=3.8-

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა.

*ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

9. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032602071-03 20.01.2026; №12-032601650-03 16.01.2026; №12-032602350-03 23.01.2026; 12-0326029153-03-29.01.2026; 12-0326029164-03-29.01.2026)

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის წერილებით (საკრებულოს №12-032602071-03 20.01.2026; №12-032601650-03 16.01.2026; №12-032602350-03 23.01.2026; 12-0326029153-03-29.01.2026; 12-0326029164-03-29.01.2026) წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საკითხი წარმოდგინეს ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ბაგაშვილმა. წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკასა (ა პუნქტით დამტკიცებული) მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 23 წინადადება კერძოდ:

№12-032602071-03 20.01.2026;

ა) ქალაქ თბილისში, სოფელ წავეისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.81.02.363.087) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლებისთვის მისასვლელი გზით უზრუნველყოფა. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული

წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს სატრანსპორტო ქვეზონას, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ არსებულ/ დაგეგმილ ტრანსპორტის/ქვეითის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზებს/ქუჩებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს, გზაგამტარებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს, ტროტუარებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, მიწისქვეშა ნაგებობებს/შენობა-ნაგებობებს (მათ შორის მიწისქვეშა ავტოსადგომებს), ასევე თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის უძრავ ქონებაზე „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრულ პარკირების ადგილებს; ასევე, შპს „საქართველოს ფოსტის“ (ს/ნ 203836233) ჯიხურებს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით დგინდება, რომ 01.81.02.363.087 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი (წინა საკადასტრო კოდი: 81.02.21.393) საკუთრების უფლების მიტოვების შედეგად სახელმწიფოზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს, რომელზეც გავრცელებული იყო შეზღუდული სარგებლობის - სერვიტუტის უფლება 01.81.02.363.071 (წინა კოდი: 81.02.21.392); 01.81.02.363.072 (წინა კოდი: 81.02.21.391); 01.81.02.363.081 (წინა კოდი: 81.02.21.390); 01.81.02.363.080 (წინა კოდი: 81.02.21.389); 01.81.02.363.013 (წინა კოდი: 81.02.21.397); 01.81.02.363.012 (წინა კოდი: 81.02.21.396) და 01.81.02.363.073 (წინა კოდი: 81.02.21.605) საკადასტრო ერთეულების სასარგებლოდ, აღსანიშნავია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილი AR1509772 განცხადების ფარგლებში „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ 2017 წლის 5 ივნისის N22 სხდომაზე მიღებული დასკვნის საფუძველზე ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ წაგვისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 81.02.21.393 და მის მიმდებარედ), ფუნქციური ზონის - საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილებას მიეცა თანხმობა, სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, 2025 წლის 29 დეკემბრის N01253632848 წერილის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს გზას და ფაქტობრივად გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. ამასთან, ვინაიდან საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს, საკითხი კომპეტენციის ფარგლებში განსახილველად გადაეგზავნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2025 წლის 26 დეკემბრის N61-01253604321 წერილის შესაბამისად, სსიპ - ქონების მართვის სააგენტო, როგორც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი ორგანო, არ არის წინააღმდეგი 01.81.02.363.087 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება, კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის მიღმა, მიმდებარე დაურეგისტრირებულ ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით,

ქუჩათა ქსელის ჩამოყალიბების მიზნით, ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის საშხრეთით, ერთიან სივრცეზე, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელება თბილისი-კოჯრის გზატკეცილამდე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ წავეისში მდებარე მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: 01.81.02.363.087) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღება;

ბ) ქალაქ თბილისში, მხატვრის ქუჩა, N1,N3,N5, N5ა,N7,N9,N13,N15,N17,N21,N23-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 01.14.02.013.050; 01.14.02.014.005; 01.14.02.014.001; 01.14.02.014.008; 01.14.02.014.006; 01.14.02.013.073; 01.14.02.013.051; 01.14.02.013.054; 01.14.02.013.129; 01.14.02.013.135; 01.14.02.014.007; 01.14.02.014.011) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ტერიტორიის ინდივიდუალური საცხოვრებელი ფუნქციით განვითარება (რეკონსტრუქცია). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის ერთგვაროვან საცხოვრებელი ქვეზონას, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, სზ-6-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ზემოხსენებული წესების დანართი-1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები. საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორია ხასიათდება ერთგვარი განაშენიანებით. ტერიტორიაზე ძირითადად ფიქსირდება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები. საპროექტო, მომიჯნავე და მიმდებარე მიწის ნაკვეთები უზრუნველყოფილია მისასვლელი გზით და ჩამოყალიბებულია შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რაც მნიშვნელოვანია სრულყოფილი საცხოვრებელი გარემოსთვის. ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განთავსება/ რეკონსტრუქცია, შეუსაბამო საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) კანონმდებლობით დადგენილ რეგულაციებთან, ფუნქციური დანიშნულებით. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, რუკაში წარმოქმნილი ხარვეზების გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის მიღმა, 01.14.02.014.005 და 01.14.02.014.001 საკადასტრო ერთეულებს შორის არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, 01.14.02.014.011 და 01.14.02.014.008 საკადასტრო ერთეულებს შორის არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, 01.14.02.014.011 და 01.14.02.014.001 საკადასტრო ერთეულებს შორის არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, 01.14.02.014.007 და 01.14.02.014.006 საკადასტრო ერთეულებს შორის არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, 01.14.02.014.006 და 01.14.02.013.129 საკადასტრო ერთეულებს შორის არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, 01.14.02.013.129 და 01.14.02.013.051 საკადასტრო ერთეულებს შორის არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, 01.14.02.013.051, 01.14.02.013.073 და 01.14.02.013.050 საკადასტრო ერთეულებს შორის არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, 01.14.02.013.054 და 01.14.02.013.135 საკადასტრო

ერთულებს შორის არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, 01.14.02.014.001, 01.14.02.014.011, 01.14.02.014.008 საკადასტრო ერთულების მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ასევე, 01.14.02.014.005, 01.14.02.014.006, 01.14.02.014.007 საკადასტრო ერთულების მოგნაზე, მხატვრის ქუჩის მხარეს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)-ისა და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ის საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2)-ით ცვლილება. ამასთან, საპროექტო ტერიტორიის მიღმა, 01.14.02.014.005 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთისა და ბესარიონ ფუნქციის ქუჩას შორის, ასევე, 01.14.02.014.008 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და მხატვრის ქუჩას შორის არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, 01.14.02.014.007 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საშხრეთით, მხატვრის ქუჩის მხარეს, 01.14.02.013.129, 01.14.02.013.051, 01.14.02.013.050, 01.14.02.013.054, 01.14.02.013.135 და 01.14.02.013.078 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებსა და მხატვრის ქუჩას შორის არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)-ის სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ით ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მხატვრის ქუჩა, N1,N3,N5, N5a,N7,N9,N13,N15,N17,N21,N23-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 01.14.02.013.050; 01.14.02.014.005; 01.14.02.014.001; 01.14.02.014.008; 01.14.02.014.006; 01.14.02.013.073; 01.14.02.013.051; 01.14.02.013.054; 01.14.02.013.129; 01.14.02.013.135; 01.14.02.014.007; 01.14.02.014.011) საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)-ის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება, ხოლო საპროექტო მიწის ნაკვეთების, ასევე, 01.14.02.013.078 საკადასტრო ერთულის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)-ისა და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ის საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2)-ითა და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ით ცვლილება მისაღება.

გ) ქალაქ თბილისში, 26 მაისის სახელობის მოედანი, N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.10.13.033.109) მოთხოვნილია საზოგადოებრივსაქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2), სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1), საზოგადოებრივსაქმიანი ზონის (სსზ), საზოგადოებრივსაქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) და საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიაზე რეკრეაციული და სპორტული სივრცეების მოწყობა (პადელის კორტების განთავსება), საპროექტო ტერიტორიაზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის მოქმედი გენერალური გეგმით საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2); სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ); მცირე ნაწილზე - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) და საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). აქ, თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) არის სატრანსპორტო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ

არსებულ/დაგეგმილ ტრანსპორტის/ქვეითის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზებს/ქუჩებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს, გზაგამტარებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს, ტროტუარებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, მიწისქვეშა ნაგებობებს/შენობა-ნაგებობებს (მათ შორის მიწისქვეშა ავტოსადგომებს), ასევე თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის უძრავ ქონებაზე „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრულ პარკირების ადგილებს; ასევე, შპს „საქართველოს ფოსტის“ (ს/ნ 203836233) ჯიხურებს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, 2025 წლის 22 დეკემბრის N0125356963 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, არ არის წინააღმდეგი გაუქმდეს მოთხოვნილ მონაკვეთზე სატრანსპორტო ზონა I (ტზ-1). საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორია ხასიათდება შერეული ტიპის განაშენიანებით. ამასთან, საპროექტო, მომიჯნავე და მიმდებარე მიწის ნაკვეთები უზრუნველყოფილია მისასვლელი გზით და ჩამოყალიბებულია შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რაც მნიშვნელოვანია სრულყოფილი საცხოვრებელი გარემოსთვის. შესაბამისად, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილებით არ იცვლება მიმდებარე განაშენიანების ქალაქგეგმარებითი ხასიათი. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით საპროექტო მიწის ნაკვეთზე ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების თანახმად ვრცელდება გეგმარებითი კარკასი (კკ) – დედაქალაქის ცენტრალურ, შუალედურ და პერიფერიულ ზონებში, ქალაქის მატერიალური გარემოს ათვისების მაღალი ხარისხის, სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების კონცენტრაციის, ტერიტორიების გამოყენების ინტენსივობის, არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლობითი ანსამბლებისა და მოცულობითი აქცენტების, საზოგადოებრივი ცენტრების - აქტიური საცხოვრებელი და საზოგადოებრივი გარემოს არსებობის ნიშნით გამოყოფილი სტრუქტურული ელემენტი, რომელიც ყალიბდება საერთო საქალაქო მნიშვნელობის უწყვეტი და რეგულირებადი, აგრეთვე რაიონული მნიშვნელობის სატრანსპორტო - ფეხმავალი მაგისტრალებისა და ქუჩების გასწვრივ და რომელიც, როგორც წესი, მოიცავს ნაკვეთების პირველ რიგს, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებით. ასევე, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება ცენტრალური ზონა (ცზ) – დედაქალაქის ცენტრალური ნაწილი, ტერიტორიების ათვისების მაღალის ხარისხის ნიშნით გამოყოფილი ტერიტორიული ელემენტი, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, რუკაში წარმოქმნილი ხარვეზების გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, საპროექტო ტერიტორიის მიღმა, 01.10.13.033.024 საკადასტრო კოდის მცირე ნაწილზე ხორციელდება სატრანსპორტო ზონა I (ტზ-1)-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონით (სსზ) ცვლილება, 01.10.13.033.139 საკადასტრო კოდის მცირე ნაწილზე, 01.10.13.033.139 და 01.10.13.033.109 საკადასტრო კოდებს შორის არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, 01.10.13.033.109 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და ტყვარჩელის ქუჩას შორის არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხორციელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის (სსზ) სატრანსპორტო ზონა I (ტზ-1)-ით ცვლილება, ასევე, 01.10.13.033.109 და 01.10.13.033.100 საკადასტრო კოდებს შორის არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, 01.10.13.033.049 საკადასტრო კოდის ნაწილზე, 01.10.13.033.109 და 01.10.13.033.109 საკადასტრო

კოდეზს შორის არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, 01.10.13.033.109, 01.10.13.033.049 და 01.10.13.033.045 საკადასტრო კოდეზს შორის არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1- (სსზ-1)-ით ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, 26 მაისის სახელობის მოედანი, N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.10.13.033.109) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2), სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის (სსზ), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) და საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება, ხოლო 01.10.13.033.109 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ასევე, 01.10.13.033.024, 01.10.13.033.139, 01.10.13.033.049 საკადასტრო კოდეზის მეორე ნაწილებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონითა (სსზ) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1)- ით ცვლილება და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის (სსზ) სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ით ცვლილება მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.14.14.005.325) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიაზე სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, შემდგომში მასზე სპორტული კომპლექსის (ღია სპორტული მოედანი, დახურული სპორტული მოედანი, პადელის კორტები, ტრიბუნა და შესაბამისი დამხმარე/ტექნიკური შენობები) განთავსების მიზნით. სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „სპორტის აკადემია 2025“-ს (ს/ნ: 404780509) შორის 2025 წლის 19 სექტემბერს გაფორმებული სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულების შესაბამისად, „მესაკუთრე“ აღნაგობის უფლების მქონე პირს“ სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გადასცემს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ, ქალაქ თბილისში, ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ მიმდებარედ არსებულ 11 650 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს. ხელშეკრულების მე-3 მუხლი განსაზღვრავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, რომელთა შესაბამისადაც, აღნაგობის უფლების მქონე პირი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 30 (ოცდაათი) თვის ვადაში, უზრუნველყოს ქონებაზე ან მის ნაწილზე, პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა. დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების თვალსაზრისით ვრცელდება შუალედური ზონა (შზ) - დედაქალაქის ტერიტორიების ათვისების საშუალო ხარისხის ნიშნით გამოყოფილი ტერიტორიული ელემენტი. საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორია ხასიათდება შერეული ტიპის განაშენიანებით. ტერიტორიაზე ფიქსირდება, როგორც მრავალფუნქციური და მრავალზონიანი საცხოვრებელი სახლები, ასევე სპორტული დანიშნულების შენობანაგებობები და საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცეები. საპროექტო მიწის ნაკვეთს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ჩოგბურთის კორტები. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) წარმოადგენს სპეციალურ ქვეზონას, რომელიც მოიცავს არსებულ/დაგეგმილ საგანმანათლებლო, სამეცნიერო, სამედიცინო, ასევე საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო გამოყენების ტერიტორიებს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს, 2026 წლის 13

იანვრის N01260133782 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, მიზანშეწონილად მიაჩნია საპროექტო მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა. ამასთან, ვინაიდან, 01.14.14.005.325 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას, საკითხი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვრულად გადაეგზავნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, 2026 წლის 14 იანვრის N7/1439 წერილის შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი საპროექტო არეალზე გავრცელდეს სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) იმ პირობით, რომ სახელმწიფოს არ წარმოემოძაბა რაიმე სახის ვალდებულება, ზიანი არ მიადგება სახელმწიფო ქონებას და შესაძლებელი იქნება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის დამოუკიდებლად განვითარება. ამასთან, ამავე წერილში აღნიშნულია, რომ ფუნქციური ზონის ცვლილებით შპს „სპორტის აკადემია 2025-ს“ (ს/კ 404780509) ხელი არ უნდა შეეშალოს 2025 წლის 1 სექტემბერს გაფორმებული სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვან შესრულებაში.

**№12-032601650-03 16.01.2026;**

ა) ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავეისში მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: 01.81.02.365.126; 01.81.02.365.035; 01.81.02.365.111; 01.81.02.365.121; 01.81.02.365.117; 01.81.02.365.110; 01.81.02.365.112; 01.81.02.365.119; 01.81.02.365.116) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. საპროექტო ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავეისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.81.02.365.126; №01.81.02.365.035; №01.81.02.365.111; №01.81.02.365.121; №01.81.02.365.117; №01.81.02.365.110; №01.81.02.365.112; №01.81.02.365.119; №01.81.02.365.116) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 დეკემბრის N123 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავეისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 01.81.02.365.126; 01.81.02.365.035; 01.81.02.365.111; 01.81.02.365.121; 01.81.02.365.117; 01.81.02.365.110; 01.81.02.365.112; 01.81.02.365.119; 01.81.02.365.116) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, სოფელ პატარა ლილოში, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N98, N94, N96; N102, N104, N106; ქალაქ თბილისში, დიდი ლილოში, ვარკეთილის მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: 81.08.32.294; 81.08.27.358; 81.08.32.315; 81.08.32.314; 81.08.27.366; 81.08.32.259; 81.08.27.953; 81.08.32.254; 81.08.27.007; 81.08.27.012; 81.08.27.927) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. საპროექტო ტერიტორიაზე,

„ქალაქ თბილისში, სოფელი პატარა ლილო, დავით აღმაშენებლის ქუჩა № 98, №94, №96; №9, №102, №104, №106; ქალაქი თბილისი, დიდი ლილო, ვარკეთილის მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №81.08.32.294; №81.08.27.358; №81.08.32.315; №81.08.32.314; №81.08.27.366; №81.08.32.259; №81.08.27.953; №81.08.32.254; №81.08.27.007; №81.08.27.012; №81.08.27.927) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 დეკემბრის N118 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ პატარა ლილოში, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N98, N94, N96; N102, N104, N106; ქალაქ თბილისში, დიდი ლილოში, ვარკეთილის მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: 81.08.32.294; 81.08.27.358; 81.08.32.315; 81.08.32.314; 81.08.27.366; 81.08.32.259; 81.08.27.953; 81.08.32.254; 81.08.27.007; 81.08.27.012; 81.08.27.927) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N18-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.11.05.029.179) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. საპროექტო ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ქერჩის ქ. №6-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 დეკემბრის №484 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 დეკემბრის N125 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის მიღმა, 01.11.05.029.179 საკადასტრო ერთეულის აღმოსავლეთით, ქერჩის ქუჩის მხარეს არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა I-ის (სსზ-1) სატრანსპორტო ზონა I-ით (ტზ-1) ცვლილება და ხარვეზის სახით დარჩენილი გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N18-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.11.05.029.179) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია, ასევე, მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა I-ის (სსზ-1) სატრანსპორტო ზონა I-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა მისაღებია; ცვლილებას ექვემდებარება თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკაც.

დ) ქალაქ თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №12; ქალაქი თბილისი, საქანელას ქუჩის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, მ. ჯავახიშვილის ქუჩა №11; ქალაქი თბილისი, სასწრაფო სამედიცინო სადგურის მიმდებარედ (აღმართი ვერა, ყოფ. ელბაქიძე); ქალაქი თბილისი, ზვიად

გამსახურდიას სანაპირო №12; ქალაქი თბილისი, საქანელას ქუჩა №20-ის მოპირდაპირედ; ქალაქი თბილისი, საქანელას ქუჩის №23-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.15.04.003.048; №01.15.04.003.005; №01.15.04.003.044; №01.15.04.003.008; №01.15.04.003.013; №01.15.04.003.024) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. საპროექტო ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №12; ქალაქი თბილისი, საქანელას ქუჩის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, მ. ჯავახიშვილის ქუჩა №11; ქალაქი თბილისი, სასწრაფო სამედიცინო სადგურის მიმდებარედ (აღმართი ვერა, ყოფ. ელბაქიძე); ქალაქი თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №12; ქალაქი თბილისი, საქანელას ქუჩა №20-ის მოპირდაპირედ; ქალაქი თბილისი, საქანელას ქუჩის №23-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.15.04.003.048; №01.15.04.003.005; №01.15.04.003.044; №01.15.04.003.008; №01.15.04.003.013; №01.15.04.003.024) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის №112 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 დეკემბრის N130 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №12; ქალაქი თბილისი, საქანელას ქუჩის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, მ. ჯავახიშვილის ქუჩა №11; ქალაქი თბილისი, სასწრაფო სამედიცინო სადგურის მიმდებარედ (აღმართი ვერა, ყოფ. ელბაქიძე); ქალაქი თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №12; ქალაქი თბილისი, საქანელას ქუჩა №20-ის მოპირდაპირედ; ქალაქი თბილისი, საქანელას ქუჩის №23-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.15.04.003.048; №01.15.04.003.005; №01.15.04.003.044; №01.15.04.003.008; №01.15.04.003.013; №01.15.04.003.024) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, გენო ქარუმიძის ქუჩა, N7-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: 01.81.02.261.016; 01.81.02.261.026; 01.81.02.261.015) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. საპროექტო ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.81.02.261.016; №01.81.02.261.026; №01.81.02.261.015) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 დეკემბრის N119 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, გენო ქარუმიძის ქუჩა, N7-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: 01.81.02.261.016; 01.81.02.261.026; 01.81.02.261.015) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია;

ვ) ქალაქ თბილისში, დოდო აბაშიძის ქუჩა, N10-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, დოდო აბაშიძის ქუჩა, N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: 01.16.05.012.093; 01.16.05.012.092; 01.16.05.012.028; 01.16.05.012.029) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. საპროექტო ტერიტორიაზე,

„ქალაქ თბილისში, დოდო აბაშიძის ქუჩა №10-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, დოდო აბაშიძის ქუჩა №10-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.16.05.012.093; №01.16.05.012.092; №01.16.05.012.028; №01.16.05.012.029) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 დეკემბრის N117 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის მიღმა, 01.16.05.012.028 საკადასტრო ერთეულის ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაგ-ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დოდო აბაშიძის ქუჩა, N10-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, დოდო აბაშიძის ქუჩა, N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: 01.16.05.012.093; 01.16.05.012.092; 01.16.05.012.028; 01.16.05.012.029) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ასევე, 01.16.05.012.028 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაგ;

ზ) ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ, იუმაშევის ქ. №13-ის მიმდებარედ, აეროპორტის მიმდებარედ, აეროპორტის გზაზე და მის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 01.19.15.001.035, 01.19.15.001.098, 01.19.15.002.027, 01.19.15.002.007, 01.19.15.002.008, 01.19.15.002.006) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე, ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ, იუმაშევის ქ. №13-ის მიმდებარედ, აეროპორტის მიმდებარედ, აეროპორტის გზაზე და მის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.15.001.035, №01.19.15.001.033 (ახალი საკადასტრო კოდი: 01.19.15.001.098), №01.19.15.001.041 (ახალი საკადასტრო კოდი: 01.19.15.001.098), №01.19.15.002.005 (ახალი საკადასტრო კოდი: 01.19.15.002.027), №01.19.15.002.010 (ახალი საკადასტრო კოდი: 01.19.15.002.027), №01.19.15.002.022 (ახალი საკადასტრო კოდი: 01.19.15.002.027) სასაწყობე-საოფისე შენობა-ნაგებობის დასაპროექტებლად“ ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 9 ივლისის №1854 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 დეკემბრის N126 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიღმა, 01.19.15.001.035 საკადასტრო ერთეულის სამხრეთითა და აღმოსავლეთით მოქნაზე არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით დარჩენილი საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება, 01.19.15.001.098 საკადასტრო ერთეულის აღმოსავლეთით და

